NEW BOOKS ახალი წიგნები

Роин Метревели, Давид Строитель, Тб., 2022

Книга предназначена для широкого круга читателей. В ней популярно рассказывается о жизни и деятельности выдающегося грузинского царя и объединителя Грузии святого Давида Строителя

Роин Метревели, Царица Тамар , Тб., 2022

Данная книга предназначается для широкого круга читателей. В ней излагается жизнь и деятельность выдающейся грузинской царицы - святой Тамар.

David Muskhelishvili, The Historical Atlas of Georgia, Tbilisi, 2022

The Historical Atlas of Georgia contains over seventy colour maps and explanatory texts that trace the development of the territory of Georgian statehood from ancient times to the present day.

"The Historical Atlas of Georgia" is actually a documentary publication: in its explanatory texts, the political image of the state is depicted and argumented on every map, by pointing to the primary source and relying on the special literature.

The Atlas is an indispensable handbook for students and the general reader who have an interest in Georgian history.

The volume is of great interest for researchers involved in Byzantine, Oriental and Russian studies.

The book was published with the support of charitable foundation "Khareba"

Николай Марр, Дневник Поездки в Шавшети и Кларджети, Тб., 2022

В 1902 году Николай Марр во время экспедиции в Иерусалим в Монастыр Святого Креста обнаружил текст «Жития св. Григория Ханцтийского» Георгия Мерчуле. Он переписал его и начал готовить к изданию. До издания «Жития» ученый в 1904 году объездил исторические провинции Юго-западной Грузии Шавшети и Кларджети и описал увиденные места, связанные с деятельностью Григория Ханцтийского. В результате труд, изданный в 1911 году, который считается одной из вершин его богатой научной биографии, состоял из следующих частей: вступление, грузинский текст «Жития св. Григория Ханцтийского», его перевод на русский и «Дневник поездки в Шавшети и Кларджети».

В настоящем издании представлена только последный часть труда в фототипической форме с соответствующими указателями и иллюстрациями.

გ. ბოლოთაშვილი, გ. ქავთარია, დ. ნინიძე, დ. კაჭარავა, დ. ლეთოდიანი, ე. ასტახიშვილი, ვ. გურული, ზ. პაპასქირი, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია, ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., 2022

გამოცემაში წარმოდგენილია ქართული პოლიტიკური სამყაროს მთელი ისტორიული მემკვიდრეობა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სფეროში, დაწყებული ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟიდან – დიაოხის, ძველი კოლხეთისა და იბერიის ეპოქიდან, ვიდრე XX საუკუნის

მიწურულამდე.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის მკვლევართა და დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ნიკოლოზ თევზაძე, როგორ „იხსნა“ რუსეთმა საქართველო (გეორგიევსკის ტრაქტატი), თბ., 2022

1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით ცნობილი სამოკავშიერო ხელშეკრულება. ამ არაერთმნიშვნელოვანსა და მრავალწახნაგოვან საკითხს რუსეთსა და საქართველოში დღემდე უკიდურესად განსხვავებულად და ურთიერთგამომრიცხავად აფასებენ. ნ. თევზაძის წიგნიდან მკითხველი თანმიმდევრულად გაეცნობა ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტრაქტატის გაფორმებამდე კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარება, რა სარგებელს ელოდნენ მისგან მხარეები.

ე. მაჭავარიანი, ი. გაჩეჩილაძე, ქ. ტატიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება (X-XIX სს.), თბ., 2022

ნაშრომში განხილულია X-XIX სს. ქართულ ხელნაწერ წიგნებში დაცული ცნობები წიგნის მომხატველ ოსტატთა („კამარათამწერალი“, „ოქროდათმწერალი“, „მოქმედი“, „მხატვარი“) შესახებ, წარმოჩენილია მათი ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალები. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში.

ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე, იდეის ავტორი თ. მგალობლიშვილი †, შემდგენლები: გ. გაგოშიძე, ნ. კვირიკაშვილი, თ. ცერაძე, ლ. ხოფერია, მ. ჯანჯალია, თბ., 2022

წმინდა მიწაზე ისტორიულად მიმდინარე კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური პროცესების შესახებ შეუძლებელია სრული წარმოდგენა გვქონდეს ქართული სამონასტრო კოლონიის როლის გათვალისწინების გარეშე. ქართულ ქრისტიანულ თემს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის წარმომადგენლების მიერ შექმნილ იმ უნიკალურ ერთობაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. წმინდა მიწაზე ქართული სამონასტრო კოლონია არსებობის 13 საუკუნეს (IV-XVIII სს.) ითვლის და მასთან არაერთი ისტორიული წყარო და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშია დაკავშირებული. ეს და არაერთი სხვა საკითხი წიგნში დეტალურადაა განხილული. მასში გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკისა და ისრაელის სიძველეთა სამსახურის არქივის ფოტოები.

გამოცემა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. სამედიცინო და ვეტერინატული ხელნაწერები, გამოსაცემად მომზადეს ლ. სამყურაშვილმა, ი. გოგონაიამ, თ. აბულაძემ, ლ. შათირიშვილმა, ნ. ხიზანიშვილმა, ლ. გაბუნიას, მ. კერესელიძისა და კ. მულკიჯანიანის მონაწილეობით, თბ., 2022. ქართული სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერების ტიპოლოგია, სამედიცინო

ცოდნა ქართულ სასულიერო მწერლობაში, ძველი ქართული სამედიცინო ენციკლოპედიური წიგნები და კარაბადინები, სამედიცინო _ სამკურნალო მასალის შემცველი თემატური და შერეული კრებულები, სამედიცინო _ პრაქტიკული დანიშნულების კრებულები, ცნობები ინფექციური დაავადებებისა და მათი მკურნალობის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში, ლექსიკა და ტერმინოლოგია, მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებები ქართულ საექიმო წიგნებსა და კარაბადინებში, ქართული ვეტერინარული ხელნაწერები,ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში დადასტურებული ჭარხლის შემცველი რეცეპტურის მიხედვით დამზადებული სამკურნალწამლო საშუალების პროტოტიპის შესახებ, სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერების ალბომი, წინამდებარე მონოგრაფია-ალბომი შედგა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის _ „სამედიცინო დ ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ელისაბედ ერისთავი, მემუარები, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო მაია ცერცვაძემ, თბ., 2022

ელისაბედ ქსნის ერისთავის (1864-1949) ჩანაწერები შთამომავლობისთვის დატოვებული მეტად საგულისხმო მემუარებია, რომლის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი ცნობილი ოჯახის შვილი იყო და თანადროული ელიტის შუაგულში ტრიალებდა.

მოგონებები, რომლებიც ხანდაზმულ მემუარისტს ჩაუწერია, ქსნის ერისთ-ავთა ერთგვარ საგვარეულო მატიანედაც შეიძლება მივიჩნიოთ. ფასდაუდებელია მისი ღირებულება დღეს, რადგან მემუარებში აღწერილი მოვლენები ჩვენი ქვეყნის რუსეთისგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდებოდა. ამასთანავე, მოგონებანი, ზოგადად, XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიული ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფრაგმენტებს ასახავს.

ნიკო დადიანი, დღიურები, ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია აბესალომ ტუღუშის მიერ †, თბ., 2022

ნიკო დადიანს – ისტორიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, მწერალს, მსაჯულსა და დიპლომატს – თანამედროვეებმა და შთამომავლებმა დამსახურებისთვის „დიდი ნიკო" უწოდეს. ის, როგორც სამხედრო მთავარსარდალი, ელჩი და სამეგრელოს მმართველი, მთელ რეგიონში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი დღიურები.

წიგნში დაცულია ძვირფასი ცნობები სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავ-როთა შესახებ, XIX საუკუნის პირველ მესამედში იქ არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც სამართალსა და სამართალწარმოებას შეეხება, რადგან ნიკო დადიანი XIX საუკუნის მიწურულიდან გარდაცვალებამდე მოსამართლე, 1815 წლიდან კი სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მსაჯულთუხუცესი ანუ მდივანბეგთუხუცესი იყო.

დღიურები წარმოადგენს წყაროს ქართული გვარების ისტორიისთვისაც.

გარდა ამისა, იგი მდიდარ წარმოდგენას იძლევა ნიკო დადიანის პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

იგორ კეკელია, აფხაზეთის ტოპონიმია, თბ., 2022

გამოცემა აფხაზეთის ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმიის მრავალ საკვანძო საკითხს აერთიანებს. გეოგრაფიულ სახელწოდებათა უმეტესობა პირველად ქვეყნდება. მათი ლოკალიზაცია და ისტორია-ეტიმოლოგია მოცემულია ისტორიულ რეალიებთან თუ სხვა წყაროთა მონაცემებთან შეჯერებით.

წიგნში წარმოდგენილია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთაგან ჩაწერილი რამდენიმე ათასი მიკროტოპონიმი, რომელთაც ახლავს ენობრივი კომენტარები. ტოპონიმიკური მასალა მნიშვნელოვანი პირველწყაროა აფხაზეთის ობიექტური ისტორიის შესასწავლა.

გივი ელიავა, სამეგრელო – ტოპონიმიკური ატლასი, თბ., 2022

ატლასი აერთიანებს სამეგრელოს ერთი ნაწილის – აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტოპონიმიკურ რუკებს, რომლებიც მოამზადა ისტორიკოსმა და ეთნოგრაფმა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუ

ზეუმის დამაარსებელმა გივი ელიავამ. ეს უნიკალური მასალა დღეისათვის ამავე მუზეუმშია დაცული.

ავტორის დიდი სურვილი იყო არა მარტო სამეგრელოს, არამედ საქართველოს ყველა კუთხის სრული ტოპონიმიკური ატლასების გამოცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მას არ დასცალდა.

ნიგნი ტოპონიმიკური მასალის ამგვარი სახით გამოცემის ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა ქართულ სინამდვილეში. ადგილთა სახელწოდებების პუბლიკაცია სათანადო რუკების თანხლებით ორიგინალური და ამავდროულად მომხმარებელთათვის დიდად პრაქტიკული საშუალებაა.

გამოცემაში წარმოდგენილია როგორც ტოპონიმიკური რუკები, ისე ტოპონიმთა ჩამონათვალი და შესაბამისი დოკუმენტური ინფორმაცია. გამოცემა დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიით, გეოგრაფიით, ეთნოლოგიითა და ქართული ენათმეცნიერებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

აბაშის, სენაკისა და ჩხოროწყუს ტოპონიმიკური რუკები ქვეყნდება პირველად.

Giorgi Barisashvili, Georgian Culture of Winemaking, Tbilisi, 2022

Georgia is the birthplace of wine, with a millenniaold tradition of fermenting and ageing wine. Georgians interact with wine as a living being, which requires constant care and attention.

The book describes the varieties of architecture of the marani (wine cellar) and the types of kvevri (clay vessels) that have survived almost intact. It describes the time-consuming and tedious process of preparing the kvevri before pouring wine. Additionally, it describes the ancient and traditional method of fermenting and aging wine in kvevri that has hardly changed throughout the centuries.

ოლეგ ხლევნიუკი, სტალინი – დიქტატორის ახალი ბიოგრაფია, თარგმნა თამარ კოტრიკაძემ, თბ., 2022

საბჭოთა ხანის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნისა და მკვლევრის მიერ უაღრესად საინტერესოდ დაწერილი ეს ბიოგრაფია სტალინის ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვება და იმ სისხლიან კვალსაც ცხადად გვიჩვენებს, რაც მისმა დანაშაულებრივმა მმართველობამ საბჭოთა იმპერიასა და მსოფლიოს დაამჩნია. გამოკვლევას მაღალი შეფასება მიეცა საერთაშორისო არენაზე: „ავტორის ხმა მძაფრად, ავტორიტეტულად, თავდაჯერებულად ჟღერს; სტალინის ეს ბიოგრაფია შეიძლება ყველა ენაზე დაწერილ ბიოგრაფიებს შორის საუკეთესოდ მივიჩნიოთ. ხლევნიუკი საოცრად სისხლსავსედ აცოცხლებს პირველადი და მეორადი წყაროებიდან მოპოვებულ მასალას“ - Martin Mccauley (East-West Review); „ისტორიოგრაფიული და ლიტერატურული შედევრი, რომელიც უდაოდ ათწლეულების განმავლობაში შეინარჩუნებს სტალინის კლასიკური ბიოგრაფიის სტატუსს“.- Mark Edele (Australian Book Review); „შესანიშნავია... ძალზე ინფორმაციული და სავსებით დამაჯერებელი... [ხლევნიუკი] ისეთ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, რომ საბოლოოდ ძალზე ზუსტი და სრული პორტრეტი წარმოგვიდგება“ - Robert Legvold (Foreign Affairs); „ბიოგრაფია, რომელსაც ადვილად ითვისებ და რომელიც აღმოჩენებითაა სავსე. თუკი წელს მხოლოდ ერთი ბიოგრაფიის წაკითხვას აპირებთ, ეს საუკეთესო არჩევანი იქნება“ - Paul E. Richardson (Russian Life Magazine).